Шპს „პერსპექტივა“

ხელშეკრულება #01-20-23

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **2023 წელი**

ერთის მხრივ,
შპს „პერსპექტივა“, წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი კაცელაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404 924 276;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“;
ბანკის კოდი: LBRTGE22;
IBAN: GE25LB0113138857157001;
ტელ: 593900934
mbirtvelishvili1@gmail.com; perspektiva.llc@gmail.com
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ,
ი.მ. გიორგი შუბითიძეს (მინიჭებული აქვს მცირე მეწარმის სტატუსი) სახით,
იურიდ/მის: საქართველო, ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა, N 10, კორპუსი 1, ბ#74.
საიდენტიფიკაციო კოდი: 01001082021
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22
IBAN: GE11TB7558945068100002;
ტელ: 598509400 (გიორგი);
ელ. ფოსტა: gio.shubla@gmail.com
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

<u>შესყიდვა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.</u>

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს/მომსახურება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - ბაგრატი გედენიძეს **2023 წლის 27 ივლისის #189** მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **CPV - 60181000 - სატვირთო მანქანების დაქირავება მძღოლთან ერთად.**

2.2 (სატვირთო ბორტიანი FORD TRANSIT დიზელით სახ. #WW889XW 3.5 ტ ტვირთამწეობის და სატვირთო ბორტიანი (MERCEDES BENC დიზელით სახ. #GU886GG - 3.5 ტ-ზე მეტი ტვირთამწეობის).

2.3 სულ სავარაუდო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **4450.00 (ოთხი ათას ოთხასორმოცდაათი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს შპს „პერსპექტივა“-ს დირექტორი **გიორგი კაცელაშვილი.**

4. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დანართი #1-ში მითითებული მისამართების მიხედვით (წინასწარ შეთანხმებით) **2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით** ეტაპობრივად.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების დასახელება, ჯამური თანხა, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია - **შპს „პერსპექტივა“-ს პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ბაგრატი გედენიძე**

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღდო.

6.3 დაფინანსების წყარო: **2023 წლის საკუთარი სახსრები.**

6.4 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან იმ დღესვე.

7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

7.2 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ს.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.1.1 თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

10.1.2 თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.3.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.3.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

10.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

10.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ამ ხელშეკრულების 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“).

14.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „პერსპექტივა“	**ი.მ. გიორგი შუბითიძე**
გიორგი კაცელაშვილი	
LTD PERSPEKTIVA Digitally signed by LTD PERSPEKTIVA Date: 2023.07.27 17:35:12 +04'00'	Giorgi Shubitidze 01001082021 Digitally signed by Giorgi Shubitidze Date: 2023.07.27 15:09:03

#	მისამართები
1	№2 დაწესებულება - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №85
2	№14 დაწესებულება – ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება
3	№ 15 დაწესებულება - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი
4	№11 დაწესებულება - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება - ქ. თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. №3
5	№8 დაწესებულება - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ
6	№ 5 დაწესებულება - ქალთა სპეციალური დაწესებულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი
7	№6 დაწესებულება – პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის გათავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი
8	№17 დაწესებულება - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №64
9	№16 დაწესებულება – დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60
10	N3 დაწესებულება - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის გათავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქ. ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. #27
11	№12 დაწესებულება – ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60